



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

05 აპრილი 2016 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N16/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	6
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები.....	11

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდეგში “სამინისტრო”) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №3, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №5, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი წარმომადგენლობის

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითო მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს უზუსტოდ და არასრულად ჰქონდა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

• ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით (საჯარო რეესტრის ამონაწერების ანალიზით, უშუალოდ სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციით) დადგინდა, რომ სამინისტროს, როგორც წინა აუდიტისას, ასევე მიმდინარე აუდიტის პერიოდში კვლავ ერიცხებოდა უძრავი ქონება მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობების ფართები, რომლებიც სამინისტროს საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში) თანხობრივად (ღირებულებით)¹ არ აღრიცხულა. კერძოდ:

N	საკადასტრო კოდი და რეგისტრაციის თარიღი	მისამართი	ფართობი (კვ.მ)
1	01.20.01.104.068 06.06.2011 წ.	მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა N1, დაბა წყნეთი	559
2	43.10.06.036 16.05.2014 წ.	ზუგდიდის რ-ნი, სოფ. რუხში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი	3217588
3	43.09.03.240 16.05.2014 წ.	ზუგდიდის რ-ნი, სოფ. რიყეში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი,	95081
4	01.10.16.003.001.01.506 24.06.2010 წ.	თამარაშვილის ქუჩა N15, „ა“ სარდაფის სართული	978.64

გარდა აღნიშნულისა, სამინისტროს 2015 წელს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან“ სარგებლობის უფლებით გადმოეცა შემდეგი შენობა-ნაგებობები და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთები, რომელთა ღირებულება ასევე უცნობი იყო და შესაბამისად მათი აღრიცხვაც ფინანსურ ანგარიშგებაში არ მომხდარა,² კერძოდ:

1 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები და მუხლი 37; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი 23-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტები;

2 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები და მუხლი 37; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი 23-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტები;

N	საკადასტრო კოდი და რეგისტრაციის თარიღი	მისამართი	ფართობი (კვ.მ)
1	N 29.08.32.075 02.12.2015წ.	წყალტუბო 26 მაისის ქუჩა N17 (რასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 750.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა: N01-633.5 კვ.მ.)	1383,5
2	N 01.20.01.104.045.01.501 30.10.2015წ.	ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ზონა „გ“ II სართულზე არსებული 793.4 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი;	793,4

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითი ცდომილებით შემცირდა რეალურად არსებული არაფინანსური აქტივების ღირებულება (სააღრიცხვო პერიოდის ბალანსში არაფინანსური აქტივების განსაზღვრული კატეგორიების ღირებულებაზე არ იყო დამატებული სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში ოპერაციების განხორციელების შედეგად ამ კატეგორიებში მიღებული აქტივების მთლიანი ღირებულება); აღნიშნული აქტივების ღირებულება უცნობია, ვინაიდან ქონების გადმოცემის ადმინისტრაციულ აქტებში (მიღება-ჩაბარების აქტები, და სხვა) არ იყო მითითებული მათი საბალანსო ღირებულება და არც შესაბამისი წესით მომხდარა მათი დადგენა³;

- 2015 წლის 29 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცა სამინისტროს ბალანსზე რიცხული კალაუბნის ქ. N16-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 2020,56 კვ/მ საერთო ფართიდან (საწყისი ღირებულებით - 899 170.03 ლარი, ნარჩენი ღირებულებით - 798 258.30 ლარი), მე-2 სართულზე მდებარე 66 კვ/მ (საწყისი ღირებულებით 30,362.64 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 26,955.06 ლარი). თუმცა, აღნიშნული აქტივის გასვლა ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხულა.

2015 წლის 25 თებერვალს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სსიპ აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს გადაეცა სამინისტროს ბალანსზე რიცხული თამარაშვილის ქუჩა N15^ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის, მე-3 სართულზე არსებული 800 კვ/მ საოფისე ფართიდან (საწყისი ღირებულებით - 726 462.00 ლარი, ნარჩენი ღირებულებით - 704 668.14 ლარი) 34,65 კვ/მ საბალანსო ღირებულების გარეშე. გამიჯვნა უნდა მომხდარიყო ძირითადი ფართის ღირებულებიდან 34,65 კვ/მ-ის ღირებულების გამოკლებით (საწყისი ღირებულებით 31,444.84 ლარის, ნარჩენი ღირებულებით 30,501.49 ლარი). თუმცა ამ შემთხვევაშიც არაფინანსური აქტივის გასვლა ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხულა.⁴

აღნიშნულიდან გამომდინარე ორგანიზაციის ბალანსში არ იყო წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების გასვლა ჯამში 66,144.63 ლარის ოდენობით, შესაბამისად იგივე თანხით არასწორად (ზედმეტად) იყო ნაჩვენები ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების

3 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე -5 პუნქტები და მუხლი 37; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი და 23-ე მუხლის პირველი და მე-14 პუნქტები;

4 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, 23-ე მუხლის მე-14 პუნქტი; „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტი;

(შენობა-ნაგებობები) ღირებულება. შესაბამისად წლის ბოლოს დარიცხული ცვეთა გაზრდილი იყო ჯამში 618.08 ლარით.⁵

- 2015 წლის 23 ივნისის N01/34 ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი 78 ერთეული ინვენტარის ზედმეტობის შეფასების საექსპერტო - აუდიტორული მომსახურების მიზნით, სამინისტრომ 2015 წლის 27 ივლისს გააფორმა ხელშეკრულება N49 შპს „ზ&ჯ კონსულტანტთან“. 2015 წლის 03 აგვისტოს N001/008 დასკვნით არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა ჯამში 5,115.00 ლარის ოდენობით.

აღნიშნული აქტივები ბალანსზე ბალანსის საცნობარო მუხლში დაფიქსირდა, როგორც ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი საშუალებები, თუმცა აღნიშნული აქტივების შემოსვლა ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში არ დაფიქსირებულა, ასევე შესაბამისი გატარებები არ დაფიქსირებულა არც მთავარ წიგნში.⁶

ბალანსის დანართი ფორმების შედარება

ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმების შედარებისას დადგინდა, რომ ძირითადი კაპიტალის მოხმარება ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში ნაჩვენები იყო 38,816.21 ლარის ოდენობით, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N2-ში არასწორად იყო წარმოდგენილი 30,724.21 ლარის ოდენობით.⁷

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების გარდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

პირობითი მოსაზრების საფუძვლების პარაგრაფში წარმოდგენილი გარემოებების გარდა, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

5 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, 23-ე მუხლის მე-14 პუნქტი;

6 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

7 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

უძრავი ქონების განკარგვა

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით - საჯარო რეესტრის ამონაწერების ანალიზით, უშუალოდ სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციით დადგინდა, რომ სამინისტროსთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სარგებლობის უფლებით გადმოცემულ შენობა-ნაგებობის ფართობსა და მიწის ნაკვეთებზე, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის - სამინისტროს შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გარეშე, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის დადგენილი წესის მოთხოვნათა შეუსაბამოდ,⁸ აუდიტის პერიოდში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი და აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს). კერძოდ:

- ქ. თბილისში, კალოუზნის ქ. N17-ში არსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 1954,56 კვ/მ ნაწილზე, კერძოდ მე-2 და მე-3 სართულებზე განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შემდეგი ორგანიზაციები: შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი“, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ქალთა კონსულტაცია“, შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი „აფხაზეთი“, შპს „აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოფთალმოლოგიური კლინიკა“, სსიპ „ზემო აფხაზეთის საავადმყოფო“;
- დაბა წყნეთში არსებული შენობა-ნაგებობის მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით საერთო ფართობით 599 კვ/მ განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს საოჯახო მედიცინის ცენტრი „ცხუმი“;
- ქ. წყალტუბოში 26 მაისის ქ. N17-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით საერთო ფართობით 1383,5 კვ/მ განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა“.
- აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 16.03.2012 წ. N01/44 ბრძანების შესაბამისად სამინისტროს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს „ავტოტრანსსერვისის“ დაეკისრა ქ. თბილისის მეველის ქ. 17-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (2,369.00 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობები N1,N2,N3) საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-შენახვა და კომუნალური გადასახადების გადახდა. როგორც გაირკვა, შპს „ავტოტრანსსერვისი“ ზემოაღნიშნულ ქონებას ყოველგვარი საფუძვლის გარეშე იყენებდა სამეწარმეო (კომერციულ) საქმიანობისათვის. კერძოდ, სახელმწიფო შენობა-ნაგებობები იჯარით (ქირით) ჰქონდა გადაცემული სხვადასხვა იურიდიულ (ფიზიკურ) პირებზე და მოქმედი კანონმდებლობის⁹ მიხედვით არ აწარმოებდა საბაზრო ღირებულების შესაბამისად სარგებლობაში გადაცემის საფასურის ბიუჯეტში გადახდას.
- 2014 წლის მაისში სამინისტროს სარგებლობაში გადაეცა მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთები სოფ. რუხში 321,76 ჰა (ს/კ N43.10.06.036) , ხოლო სოფ. რიყეში არასასოფლო-სამეურნეო 95,08 ჰა (ს/კ N43.09.03.240). აღნიშნული მიწების გადმოცემის

8 „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 35-ე მუხლი მე-3 და მე-8 პუნქტები და 36-ე მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს მთავრობის 01.10.2010წ.დადგენილება N302 „სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი მე-4, პუნქტი პირველი.

9 „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1 და 1³ პუნქტი, 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

მოთხოვნის არგუმენტად მოყვანილი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის ა/რ მთავრობის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, შემუშავებული 7 ბიზნესპროექტი (რაც მოწონებული იქნა „გამყოფი ხაზის მდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებაზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის“ მიერ), კერძოდ:

1. ერთწლიანი კულტურების წარმოება;
2. მსხვილფეხა პირუტყვის მოშენება მერძეულ-მეხორცული მიმართულებით;
3. ქვა-ღორღის გადამამუშავებელი სამქროს მოწყობა;
4. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვის მომსახურების ცენტრის შექმნა;
5. ახალი იაპონური ტექნოლოგიის დანერგვა გლეხურ მეურნეობაში და მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა რუმექსის კულტივირება საკარმიდამო ნაკვეთებზე;
6. იგპ-თა დასაქმების პროექტი მეფუტკრეობის დარგში;
7. გამყოფი ზოლის მცხოვრები მოსახლეობისათვის მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის დარგში დახმარების აღმოჩენა.

სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწების გამოყენებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობა არასაკმარისი იყო, ვინაიდან აუდიტის პერიოდში არ იყო უზრუნველყოფილი აღნიშნული მიწების სრულად (დანიშნულებით) გამოყენება. კერძოდ, 2015 წლის განმავლობაში, როგორც წინა აუდიტის პერიოდში (სამინისტროს ინფორმაციით) ზემოაღნიშნული მიწები ძირითადად დატვირთული არ ყოფილა და არცერთი ბიზნესპროექტი არ განხორციელებულა.

სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ-ები

სამინისტრო სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შემდეგ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე:

1. სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის - „ბიზნეს-ინკუბატორი“;
2. სსიპ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი“;
3. სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო“.

აუდიტორული პროცედურებით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ ზემოხსენებული სსიპ-ების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ შემოწმებულა სახელმწიფო კონტროლის განახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ¹⁰.

¹⁰ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები;

ხელფასების დარიცხვის საფუძველი

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასების დარიცხვის საფუძველად არ იყო დადგენილი და ნაწარმოები სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა, რითაც არ წარმოებდა სათანადო კონტროლი¹¹.

ინვენტარიზაცია

დოკუმენტბრუნვის მასალების შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ სამინისტროში 2015 წლის ბოლოს სავალდებულო ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის ბრძანება არ გამოცემულა და არ არსებობს ინვენტარიზაციის შედარების უწყისები და აქტები.¹²

ბუღალტრული პროგრამა

სამინისტროს 2015 წლის მდგომარეობით ბალანსზე ერიცხებოდა ბუღალტრული აღრიცხვისათვის (ბუღალტრული გატარებების აღსარიცხავად) შესყიდული ბუღალტრული პროგრამა ღირებულებით 5,664.00 ლარი, თუმცა წლიური ბუღალტრული გატარებები (წლიური ბრუნვები და ნაშთები) აღნიშნულ პროგრამაში განხორციელებული არ იყო.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

მინისტრის ბრძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 10 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა სულ 73,530.60 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 6 პირი აყვანილი იყო მთელი წლის პერიოდში (9-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მათზე ანაზღაურდა (თვეში 450-800 ლარი), სულ 47,149,60 ლარი¹³.

შიდა აუდიტის გეგმის შესრულება

სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის 2014 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული შიდა აუდიტის სამსახურის (შემდგომში სამსახური) 2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით სამსახურს უნდა ჩატარებინა 12 აუდიტი. ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით ვინაიდან სამსახური ვერ განახორციელებდა სამოქმედო გეგმის სრული მოცულობით შესრულებას, 2015 წლის 29 ივლისს მოხდა გეგმის კორექტირება და შესამოწმებელ ობიექტთა რაოდენობა განისაზღვრა 6 ერთეულით. თუმცა როგორც დადგინდა, გეგმით გათვალისწინებული 6 აუდიტიდან ჩატარდა მხოლოდ 3.¹⁴

11 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N 449 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების შესახებ“ ფორმა №ბა-19;

12 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ N605 ბრძანებისმე-3 მუხლის პირველი პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი და მე-14 მუხლის პირველი პუნქტი;

13 საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

14 აფხაზეთი ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული და 2015 წლის 29 ივლისს კორექტირებული შიდა აუდიტის სამსახურის წლიური სამოქმედო გეგმა;

წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

წინა აუდიტით გამოვლენილი ხარვეზები - არაფინანსური აქტივების (შენობა-ნაგებობების) მოქმედი წესის შესაბამისად ბუღალტრულ დოკუმენტებში (ფინანსურ ანგარიშგებაში) ღირებულებით საზომში აღურიცხაობა და სახელმწიფო ქონების უკანონოდ გამოყენების ფაქტები, კვლავ დაფიქსირდა მიმდინარე აუდიტის ფარგლებში. კერძოდ, სას-ის 2015 წლის 01 ივნისის N41/126 წერილით სამინისტროს მიეცა აღურიცხავი¹⁵ არაფინანსური აქტივების მოქმედი წესის შესაბამისად შეფასებისა და ბუღალტრულ დოკუმენტებში (ფინანსურ ანგარიშგებაში) ღირებულებით საზომში აღრიცხვის რეკომენდაცია. რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2015 წლის 26 ივნისის N63/02 წერილით სამინისტრომ სას-ს აცნობა, რომ იმ შემთხვევაში თუ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება ქონების პრივატიზაციის თაობაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უფლებამოსილი გახდებოდა მიემართა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, ასევე ვინაიდან სამინისტროს მოსაზრებით უძრავი ქონების აფასება დაკავშირებული იქნებოდა ბიუჯეტიდან „კოლოსალური“ თანხების გამოყოფასთან, სამინისტრომ გაუმართლებლად და არამიზნობრივად მიიჩნია აფასებისა და მომსახურების სავარაუდო ღირებულების გადახდა და სას-ის რეკომენდაციის შესრულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ 2015 წლის 05 ივნისის N16/02 წერილით მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ აღურიცხავი ქონების შეფასებასთან დაკავშირებით. 2015 წლის 17 ივნისის N5002974915 წერილით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ სამინისტროს აცნობა, რომ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის მომსახურების ღირებულება განისაზღვრებოდა შემდეგნაირად: ერთი ობიექტი - 100 000 ლარის ღირებულების ჩათვლით - 200 ლარი, 100 000 - 300 000 ღირებულების ჩათვლით - 400 ლარი და 300 000 ლარის ღირებულების ზევით - 800 ლარი.¹⁶ ყოველივე აღნიშნულისა და იმის გავითვალისწინებით, რომ სამინისტროში 2015 წლის ბოლოს „საქონელი და მომსახურების“ მუხლში აუთვისებელმა (გაუხარჯავმა) თანხამ შეადგინა 24,517.19 ლარი, (რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა სამინისტროს კუთვნილებაში არსებული უძრავი ქონების სრულად შეფასებისათვის), სამინისტრომ მაინც არ განახორციელა სათანადო (ქმედითი) ღონისძიებები არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

ბონდო გასვიანი

ეთერ კაცაძე

ნინო ბრეგვაძე

05 აპრილი 2016 წელი

¹⁵ იხ. ზემოთ გვ. 4;

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის N171 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“, პუნქტი 250;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	1643672,92	1643672,92
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		

II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
410	შენობა-ნაგებობები	2110	1803089,82	2231989,56
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	44121,73	45224,78
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	7052,00	9864,00
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
460	ფასეულობები	2300		
470	არაწარმოებული აქტივები	2400		726431,40
	ბალანსი		3497936,47	4657182,66

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
510	ვალდებულებები ბარტერით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღგ	3242		
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	3497936,47	4657182,66
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
770	გაუნაწილებელი მოგება	5220		
780	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		3497936,47	4657182,66
III. საცნობარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		

800	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
810	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
830	პირობითი მოთხოვნები	05		
840	პირობითი ვალდებულებები	06		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	119710,73	112810,90
870	ვადგადაცილებული დავალიანებები	09		
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	61994,34	61811,22
890	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	6138	0

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტრო

კოდი -----

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2016 წლის 1
იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშ ო პერიოდის დაზუსტებ ული გეგმით	ვალდებულე ბა	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრ ივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	993740	977325	945499,58	945499,58	945499,58	976223,79	30724,21
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	763760	759436	752216,92	752216,92	752216,92	752216,92	
030	1.1.1 ხელფასები	211	763760	759436	752216,92	752216,92	752216,92	752216,92	
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	763760	759436	752216,92	752216,92	752216,92	752216,92	
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	700440	626706,92	626706,92	626706,92	626706,92	626706,92	
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	58370	127029,08	119810	119810	119810	119810	
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114	4950	5700	5700	5700	5700	5700	
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
130	1.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							
140	1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	223980	203955	179437,81	179437,81	179437,81	179437,81	0
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	76020		73530,6	73530,6	73530,6	73530,6	
170	1.2.2 მივლინებები	222	7000		2673	2673	2673	2673	
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	101460		78706,37	78706,37	78706,37	78706,37	0
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	3000		1263,51	1263,51	1263,51	1263,51	0
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226							

220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	2500		0	0	0	0	
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	31100		20120,57	20120,57	20120,57	20120,57	0
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	2900		3143,76	3143,76	3143,76	3143,76	0
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						30724,21	30724,21
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							
350	1.5 სუბსიდიები	25							
360	1.6 გრანტები	26							
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263							
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							

460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	6000	12974	12964,85	12964,85	12964,85	12964,85	
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272							
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721							
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	6000	12974	12964,85	12964,85	12964,85	12964,85	
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	6000	12974	12964,85	12964,85	12964,85	12964,85	
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28							
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება	2813							
610	1.8.1.4 რენტა	2814							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	0	960	880	880	880	880	0
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821	0	960	880	880	880	880	
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822							
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა		ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე					
		გეგმით	ფაქტიურად*	გეგმით		ფაქტიურად*			
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა		64	64						
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა		10	10						

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი -----

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური ----- 2016 წლის 1 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	20700	16565	16564,34	16564,34	16564,34
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	20700	16565	16564,34	16564,34	16564,34
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111					
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112					
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					

150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	20700	16565	16564,34	16564,34	16564,34
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	20700	16565	16564,34	16564,34	16564,34
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

პერიოდულობა: წლიური

2016 წლის წლიური

ზომის
ერთეული:

ლარი

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32					
020	1.1 საშინაო	321					
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
050	1.1.3 სესხები	3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322					
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					

140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33					
200	2.1 საშინაო	331					
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318					
280	2.2 საგარეო	332					
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3328					

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი -----

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2016 წლის 1 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის№	დებეტი	თანხა	ანგარიშის№	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	3497936,47
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	752216,92	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	962063,92
7200	საქონელი და მომსახურება	179437,81	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	38816,21	6000	შემოსავლები	1763302,7
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა		6300	მ.შ. გრანტები	
7400	პროცენტი			რევიზიის რეკომენდაციების შედეგად	4720
7500	სუბსიდიები			უძრავი ქონება	1758582,7
7600	გრანტები	581804,65			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	12964,85			
7800	სხვა ხარჯები	880			
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებეტო ბრუნვა	1566120,44		საკრედიტო ბრუნვა	2725366,62
	სულ ჯამი:**	1566120,44		სულ ჯამი:***	6223303,09
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	4657182,65

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება _____

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური 20---წლის ----- თვის

ზომის ერთეული:ლარი

სტრიქონის კოდი	დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტიური
1	2	3	4	5
010	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის			
020	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის			
030	შემოსულობები			
040	საოპერაციო შემოსავლები			
050	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით			
060	გადასახადები			
070	გრანტები			
080	სხვა შემოსავლები			
090	ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
100	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			
110	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები			
120	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა			
130	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			
140	შემოსულობები			
150	არაფინანსური აქტივების კლება			
160	ფინანსური აქტივების კლება			
170	ვალდებულებების ზრდა			
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები			
190	გადასახდელები			
200	საოპერაციო ხარჯები			
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი		
220	1.1. შრომის ანაზღაურება	21		
230	1.2 საქონელი და მომსახურება	22		
240	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23		
250	1.4 პროცენტი	24		
260	1.5 სუბსიდიები	25		
270	1.6 გრანტები	26		
280	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27		
290	1.8 სხვა ხარჯები	28		
300	გადასახდელები			
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31		
320	2.1 ძირითადი აქტივები	311		

330	2.2 მატერიალური მარაგები	312			
340	2.3 ფასეულობები	313			
350	2.4 არაწარმოებული აქტივები	314			
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32			
370	3.1 საშინაო	321			
380	3.2 საგარეო	322			
390	4. ვალდებულებების კლება	33			
400	4.1 საშინაო	331			
410	4.2 საგარეო	332			
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332			
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები				
440	არასაოპერაციო შემოსავლები				
450	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი				
460	არასაოპერაციო შემოსავლები არაფინანსური აქტივებით				
470	არასაოპერაციო შემოსავლები ფინანსური აქტივებით				
480	არასაოპერაციო შემოსავლები ვალდებულებებით				
490	არასაოპერაციო ხარჯები				
500	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი				
510	არასაოპერაციო ხარჯები არაფინანსური აქტივებით				
520	არასაოპერაციო ხარჯები ფინანსური აქტივებით				
530	არასაოპერაციო ხარჯები ვალდებულებებით				
540	მოგების გადასახადი				
550	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს				

ორგანიზაციის დასახელება

კოდი

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური

20---წლის ----- თვის

ზომის ერთეული: ლარი

		უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
				გეგმიური	საკასო	ფაქტიური
1	გრანტის მთლიანი მოცულობა					
2	მ.შ მიღებული თანხა					
3	მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4	მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					

1	ნაშთი პერიოდის დასაწყისში					
2	მიმდინარე წლის მოცულობა					
3	სულ (1+2)					
4	ხარჯები					
5	შრომის ანაზღაურება					
6	საქონელი და მომსახურება					
7	პროცენტი					
8	სუბსიდიები					
9	გრანტები					
10	სოციალური უზრუნველყოფა					
11	სხვა ხარჯები					
12	არაფინანსური აქტივების ზრდა					
13	ფინანსური აქტივების ზრდა					
14	ვალდებულებების კლება					
15	სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა					
16	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები გრანტის თანხით					

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური-----

2016 წლის 1
იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

		მიღება										
	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის გადახდებით	ბარტერით	არასაოპერციო შემოსავლებით	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	აპოკალიფის შემთხვევის დანაკლისის აღდგენით	*სხვა მიღებები
010	1. მატერიალური მარაგები											
020	1.1. სტრატეგიული მარაგები											
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები											
040	1.2.1. ნედლეული და მასალები											
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება											
060	1.2.3 მზა პროდუქცია											
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი											
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები											
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები											
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები											

110	2. ძირითადი აქტივები	1854263,56		16564,34			1763302,70					
120	2.1 შენობა-ნაგებობები											
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები											
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	1696709,83					982566,30					
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალები											
160	2.1.4 ქუჩები											
170	2.1.5 გზები											
180	2.1.6 ხიდები											
190	2.1.7 გვირაბები											
200	2.1.8 გაყვანილობის სისტემები											
210	2.1.9 სხვა შენობა-ნაგებობები	106380,00					49585,00					
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	44121,73		16564,34								
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	16775,28										
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	27346,45		16564,34								
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	7052,00		0,00			4720,00					
280	2.3.1 კულტივირებული აქტივები											
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	7052,00					4720,00					
300	2.3.3 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი											
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები											
320	4. ფასეულობები											
330	4.1. ძვირფასი ქვები და ლითონები											

340	4.2. ხელოვნების ნიმუშები											
350	4.3. სხვა ფასეულობები											
360	5. არაწარმოებული აქტივები	0					726431,40					
370	5.1 მიწა						726431,40					
380	5.2 წიაღისეული											
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები											
400	5.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია											
410	5.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები											
420	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები											

		გ ა ს კ ე ჯ ა														
	არაფინანსური აქტივების დასახელება	გაყიდვით	ბარტერით	არასაოპერაციო ხარჯები	სხვა კაპიტალის ტელეფონური სასაქონლო ფონდები	სუბსიდიებით	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნააღივებით	სახსრებით კაპიტალის	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურები	*სხვა გასვლები	ნაშთი წლის(პერიოდის) ბოლოს
010	1. მატერიალური მარაგები															
020	1.1. სტრატეგიული მარაგები															
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები															
040	1.2.1. ნედლეული და მასალები															
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება															
060	1.2.3 მზა პროდუქცია															
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შემქნილი საქონელი															
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები															
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები															
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები															
110	2. ძირითადი აქტივები						581804,65						38816,21			3013509,74
120	2.1 შენობა-ნაგებობები															0,00
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები															0,00
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები						472857,47						23270,30			2183148,36
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალები															0,00

160	2.1.4 ქუჩები																0,00
170	2.1.5 გზები																0,00
180	2.1.6 ხიდები																0,00
190	2.1.7 გვირაბები																0,00
200	2.1.8 გაყვანილობის სისტემები																0,00
210	2.1.9 სხვა შენობა- ნაგებობები						106380,00						743,80				48841,20
240	2.2 მანქანა- დანადგარები და ინვენტარი						2567,18						12894,11				45224,78
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები												3356,64				13418,64
260	2.2.2 სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი						2567,18						9537,47				31806,14
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები												1908,00				9864,00
280	2.3.1 კულტივირებული აქტივები																0,00
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები												1908,00				9864,00
300	2.3.3 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი																0,00
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები																0,00
320	4. ფასეულობები																0,00
330	4.1. ძვირფასი ქვები და ლითონები																0,00
340	4.2. ხელოვნების ნიმუშები																0,00
350	4.3. სხვა ფასეულობები																0,00
360	5. არაწარმოებული აქტივები																726431,40

370	5.1 მიწა																726431,40
380	5.2 წიაღისეული																0,00
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები																0,00
400	5.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია																0,00
410	5.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები																
420	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები																

ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ
 ორგანიზაციის დასახელება----- კოდი -----

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

200 წლის ----- თვის

ზომის ერთეული: ლარი

	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
010	ფინანსური აქტივები				
020	ვალუტა დეპოზიტები				
030	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
040	სესხები				
050	აქციები და სხვა კაპიტალი				
060	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
070	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
080	სხვა დებიტორული დავალიანებები				
090	მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება				
100	ფინანსური ვალდებულებები				
110	ვალუტა და დეპოზიტები				
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
130	სესხები				
140	აქციები და სხვა კაპიტალი				
150	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
170	სხვა კრედიტორული დავალიანებები				

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა ეკონომიკის

სამინისტრო

კოდი

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2016 წლის 1
იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი, ცალი

	ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																				
	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)					
				შემენა		სხვა სახით მიღება		ექსპლუატაციიდან გასული		სხვა სახით გასული											
						რაოდენობა	ლირებულა	რ-ბა	ლ-ბა	რ-ბა	ლ-ბა	რ-ბა	ლ-ბა	რ-ბა	ლ-ბა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება
1	სატრანსპორტო საშუალება სულ:	2	16775,28											20120,57	2208,00	9788,97	5029,80	20120,57	2208,00	9788,97	5029,80
	მათ შორის																				
1,1	მსუბუქი	2	16775,28											20120,57	2208,00	9788,97	5029,80	20120,57	2208,00	9788,97	5029,80
1,2	ჯიპები და პიკაპები																				
1,3	სამგზავრო სატრანსპორტო																				
1,4	სატვირთო																				